

10

ვაჟა ფშაველა

წინასიტყვაობა აკა მორჩილაძისა



ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი — 2010 წელი



კითხვის განვითარებადი საზოგადოება
SOCIETY FOR PROMOTION OF LITERACY



OPEN SOCIETY GEORGIA FOUNDATION
ფონდი ღია საზოგადოება საქართველო

სერია "ილიას ბიბლიოთეკა", ქართულ კულტურაში დემოკრატიული ღირებულებების შესახებ, გამოიცემა ა.ა.ი.პ. "კითხვის განვითარებადი საზოგადოების ინიციატივით, ფონდ "ღია საზოგადოება - საქართველოს" და ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ფინანსური მხარდაჭერით.

ავტორის/ავტორების მიერ საინფორმაციო მასალაში გამოთქმული მოსაზრება არ გამოხატავს ფონდის „ღია საზოგადოება-საქართველოს“ პოზიციას. შესაბამისად, ფონდი არ არის პასუხისმგებელი მასალის შინაარსზე.

The views, opinions and statements expressed by the authors and those providing comments are theirs only and do not necessarily reflect the position of Open Society Georgia Foundation. Therefore, the Open Society Georgia Foundation is not responsible for the content of the information material.

ISSN 1987-961X

ISBN 978-9941-18-007-1

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა
ქაქუცა ჩოლოყაშვილის 3/5, თბილისი, 0162, საქართველო

ILIA STATE UNIVERSITY PRESS
3/5 Cholokashvili Ave, Tbilisi, 0162, Georgia

სარჩევი

წინასიტყვაობა	5
ალუდა ქეთელაური	11
I	11
II	14
III	20
IV	22
V	23
VI	28

წინასიტყვაობა

დიუმა რომ მოუყვებოდა კავკასიის ქედს, სოფელ-სოფელ რომ მოდიოდა თბილისისკენ, იქ ნანახს იწერდა და იქაურ გმირთა სახელებსაც ინიშნავდა, მგონი პირველი ევროპელი იყო, ბუხრის თავზე მიჭედებული გამხმარი ხელები რომ ნახა, ეგებ საუკუნოვანი, ან მეტი ხნისაც კი. ძველი ვაჟკაცების ხელები, უიღბლო ვაჟკაცებისა, რომლებიც სიცოცხლეშივე დამარცხდნენ პირად ორთაბრძოლაში და მოკლულებმა კი თავიანთი საამაყო მარჯვენაც წააგეს.

როგორია ვაჟკაცისთვის იმქვეყნად ცალხელი რომ მიხვალ? ან ის საიქიო როგორია, სადაც დამარცხება ნაკლად გეთვლება?

ამაზე დიუმას ალბათ არ უფიქრია, მაგრამ ბუხრის თავზე დაკიდული გამომშრალი და საცქერლად საზარი ხელები კი სამუდამოდ დაამახსოვრდა. ეს ხელები მთის ხალხების ჩვეულ შეტაკებებში წარმატების საბუთები იყო. ძველიც და ახალიც, ყველა ხელი ერთად ეკიდა, კარის თავზე, ბუხრის თავზე, კედელზე. ერთგვარი ორდენები იყო. ცოტა ძნელად საცქერი ორდენები, მაგრამ ასეთი კი იყო.

იმასაც ხომ ინიშნავდა, რომ მტერს სიკვდილის შემდეგაც უძლურად ტოვებდი, საბრძოლო მარჯვენის გარეშე იმქვეყნადაც აბა რა უნდა გაეწყო. რა იყო ამის უკან, ალბათ ესეც არ არის ძნელი დასადგენი და მეცნიერებს დადგენილი აქვთ.

ის ქვეყანა კი მართლაც საინტერესოა. ეს ხელების ჭრა რაინდულ სიკვდილს გამოირიცხავს. შეტაკება რაინდული არ არის. საგმირო საქმეთა ჩვენება და სახელოვანი სიკვდილი აქ არ არის. აქ არის, რომ მოგერიე და მკვდარსაც დაგჯიჯგნი. გახსოვთ, როგორ კოცნის რუსი ოფიცერი ჰაჯი მურატის მოჭრილ თავს? აქ ეს არ არის.

ამგვარი ხელები მრავლად ჰქონდა ალუდა ქეთელაურსაც, ვაჟა-ფშაველას პოემის გმირს. ვაჟკაც ხევსურს. მისი სახლის ქვაზე ისინი „ჯღრდესავით ეკიდა.“

ალუდა ქეთელაურის ამბის დასაწყისი ისეთია, ყოველდღე რომ მოხდებოდა მთაში. ყოველდღე თუ არა, ქვაზე მისაჭედბელი ხელები სწორედ ასეთი საქმეებით გროვდებოდა, იმიტომ, რომ იქ უმიზეზოდ არავინ ებრძოდა ვინმეს.

სროლა და ხმალი იქ პირველ რიგში ვაჟკაცობის სამტკიცებლად კი არ იყო, არამედ იმ აუცილებლობის გამო, რომ თავი

შეგენახა. რაინდული ამბის კვალი, უფრო სხვანაირ ორთაბრძოლებში ვლინდებოდა. ანუ, ვიბრძვი იმისთვის რომ ვიბრძვი, როგორც იტყოდა პორთოსი, დიდი ფუფუნება იყო.

მოკლედ, ქისტებმა შატილელების საქონელი გაირეკეს, იმათ შორის კი ალუდას ცხენებიც. რა თქმა უნდა, ალუდა დაედევნა. ჭკვიანი კაცი იყო და კვალიც იოლად აიღო, დაინახა და მიაწია ტყვია. ერთი იქავე გადმოაგდო ცხენიდან, მეორესთან კი სროლა მოუხდა. ეს მეორე იყო მუცალი, უკვე მოკლულის ძმა.

ალუდამ და მუცალმა სამ-სამი ტყვია გაუცვალეს ერთმანეთს. საშინელი ტყვიები იყო: სულ, ბეწვზე აცდენილი და ამ ტყვიებთან ერთად სიტყვებსაც ესროდნენ ერთმანეთს. საერთოდ, ეს სროლა ხმლით ორთაბრძოლას უფრო ჰგავდა. რატომღაც ასე მგონია. ძალიან ხილული იყო მათთვის ყველაფერი.

სიტყვები, ერთმანეთს რომ ეძახდნენ არ იყო რთული და არც რაიმე დიდის მატარებელი, იმათში „რჯულძაღლო“ ისმოდა ხშირად.

მესამე გასროლით ალუდამ მოკლა მუცალი.

მუცალმა ისლა უთხრა, ჩემი თოფი შენა გქონდესო და ალუდამ კი ის თოფი არ წამოიღო. არა თუ თოფი არ წამოიღო, არამედ მუცალს მაჭვენაც არ მოსჭრა და ასე მობრუნდა შატილში. საქმე ეს არის, რომ ალუდამ მარჯვენა მოსჭრა პირველ მოკლულს, მუცალის ძმას და მისი საბრძოლო იარაღიც თან წამოიღო, ტახტაზე ებაო, უნაგირზეო. წამოვიდა მძიმე ფიქრით იქედან და მერე რაც მოხდა ყველას მრავალგზის წაუკითხავს. შატილში მობრუნებულს ჯერ უსაყვედურეს, მერე მინდია გამობრუნდა, მუცალს მარჯვენა მოსჭრა და მოუტანა, მაგრამ ალუდამ არასგზით მიიღო.

მერე ალუდამ გუდანის ჯვარში საკლავი აიყვანა და ხევისბერს მუცალის სახელზე დამწყალობება სთხოვა, უარმა განარისხა და თავად წააცალა თავი მოზვერს, რამაც მთლად განარისხა ხევსურები, ხატობაში კვლავ გამოჩნდა მუცალის მარჯვენა, რომელიც მინდიას ხევში გადაეგდო და ახლა კი ძაღლებს მიუგდეს საჭმელად. ძაღლები რახან არ მიეკარენ, ხევისბერმა სთქვა, ძაღლი ძაღლის ხორცს არ ჭამსო და ალუდა ურჯულოსთვის ამწყალობებსო.

ბოლოც ცნობილია: ალუდა მოკვეთეს და წამოვიდა შატილიდან დედაწულიანად. სრული უბედურება კაცისთვის და მისი ოჯახისთვის.

ღამე იყო რომ მოდიოდნენ და „ერთხელ მოუნდა ალუდას, ერთხელ მობრუნვა თავისა.“ დაემშვიდობა ყველაფერს. მოტირალ ქალებს შეუბღვირა, მაგრამ წამოვიდა. წამოვიდოდა, მოკვეთილი იყო. მაინც წამოვიდოდა. მისი სული წამოსული იყო. მძიმედ, მაგრამ მაინც...

თუმცა, რაც მოვეყვი სრულიად არაფერია.

ეს არ არის პოემა ალუდა ქეთელაური და ეს არ არის ალუდას ამბავი.

თემი ასეთი რამეა: ან ხარ იქ, ან არ ხარ.

თუ ხარ, ისე უნდა იყო, როგორც თემობის წესია. სხვანაირად, ვერც თავს გადაირჩენ და სხვათა ყოფასაც ანგრევ.

დაახლოებით ისეა, სულხან-საბა რომ წერდა ნალბანდი მგლის შესახებ. მამაჩემი ხარაზი იყო და მე ნალბანდობას ვინა მრჭიდაო.

პავლე რამიკაშვილი, ვაჟას მამა თავის მოგონებებში წერს, თუ რა დიდი ხიფათი შეხვდა ბიჭობისას, როცა წერა-კითხვის სწავლა მოისურვა და ამას ჩუმჩუმად ახერხებდა. მამაჩემი მეუბნებოდა მოგკლავო, წერს პავლე მღვდელი. მისი ილბალი და ჩვენი ყველას ილბალი, რომ არ მოკლეს და მერე რაც ისწავლა, მონასტერში ისწავლა.

განა იმიტომ უშლიდნენ, რომ არიქა და წერა-კითხვა არ შეიძლება. იცოდნენ, წერა-კითხვით უკვე სხვა იქნებოდა. წერა-კითხვა იმ ყოფაში არ შედიოდა, რომელშიც ის იზრდებოდა. ეს ნიშნავდა რომ შენ „სხვა“ ხარ.

ვაჟას გმირებიც ყოველთვის „სხვანი“ არიან. ისინი „სხვანი“ იქნებოდნენ ქალაქშიც, ვაჟას რომ ქალაქისა ეწერა, მაგრამ ქალაქი იტანს „სხვას“. რაც უფრო ღიაა სამყარო, მით უფრო იტანს „სხვას“. თემში კი ჭირს. თემში შეიძლება თავიდანვე „სხვა“ იყო, ოღონდ ეგ შენს სახლის კარს არ უნდა გადასცდეს. თუმცა, შენი სახლის კარიც პირობითი ცნებაა. ვაჟას გმირებს ხშირად უმტვრევენ სახლის კარს, ალუდასაც ამით ემუქრებიან და ჯოყოლას ხომ უმტვრევენ და უმტვრევენ. ასე რომ თემში შენი ციხე-სიმაგრეც პირობითია.

ვაჟას გმირებს ფიქრში დიდად მძიმე ამბავი აქვთ. გამოუთქმელი მძიმე ამბავი, რომელიც ერთ დღესაც გულს გამოანგრევს.

მინდიას ეუბნებიან ხატობაში: ერთ წამში ცხრაჯერ შესცვალო გლოვა ტირილზე ლხინია.

ასეთ ხასიათზე არიან ვაჟას გმირები.

ეგრეა, ყველანი ეგრე არიან.

ვაჟა მთელი ცხოვრება მოჯანყე იყო. ვაჟას მთელი ცხოვრება თავისი სამართალი ჰქონდა. ვაჟა უპასუხოდ არავის და არაფერს ტოვებდა. არსად და არცერთ სიტუაციაში. მას მიაჩნდა რომ ცხოვრება ასეთია და ასე უნდა იცხოვროს და ამას მისი ხასიათიც უწყობდა ხელს.

ის ასეთი იყო, როცა თიანეთში მასწავლებლობდა, ასეთი იყო, როცა პეტერბურგის ქართველ სტუდენტთა საზოგადოებას ელაგებოდა ძველი ვალის გამო, ასეთი იყო, როცა მეტყველებს ტყვიას უშენდა ჩარგალში მიწის ნაკვეთის გამო და ასეთი იყო, როცა თბილისში სააჯანყებო ხალხს კრებდა.

ამასთან ვაჟა მეტად ღრმა კაცი იყო. მეტად განათლებული და ლიტერატურის პროფესიონალი მცოდნე. ფშაველი გლეხი იყო და მთის ვითომ ვინრო, სინამდვილეში კი უძირო სამყაროს გასაოცრად ფლობდა. მგონია, რომ როცა ვაჟა წერდა, საკუთარ თავს ხედავდა.

არიან მწერლები, რომლებიც წერენ და ხედავენ თავის პერსონაჟებს. ეს პერსონაჟები არ გვანან კინოს გმირებს, მათი იერი ბუნდოვანია, სილუეტი ილუმალი, გაკრთება ხოლმე რაღაც ნაკვთები. ჰოდა, მგონია, რომ როცა ვაჟა თავის გმირებს ხედავდა, ის თავისთავს ხედავდა. ალუდაც ვაჟა იყო, მინდიაც ვაჟა იყო და ჯოყოლაც ვაჟა იყო.

ვაჟას თონეთში მასწავლებლობის ისტორია სხვა არაფერია თუ არა კაცისა და თემის ბრძოლა. ერთი ჯიუტი და მართალი კაცის ჭიდაობა სიცრუესთან და უაზრო წესებთან და ადათებთან.

ერთხელ ვაჟა ბორკილებდადებული ჩაიყვანეს დუშეთის პოლიციაში. მაზრის უფროსმა ოზიაშვილმა რომ დაინახა ბორკილებით, წახდა. შეხსენით ახლავეო. ისეთ იერზე იყო ვაჟა, რომ იმაზე დიდი უბედურება კაცის სახეზე ძნელად რომ ენახა ვინმესო. ბორკილიან ვაჟას მკვდარი ვაჟა სჯობდა, დამარცხებული და ხევში გადაგდებული მუცალის მარჯვენა სჯობდა ალუდას ქვაზე მილურსმულ მუცლის მარჯვენას. ამბობენ, რომ ამ ბორკილს მოჰყვა ლექსი არწივი. რა ვიცი, მკვლევარების საქმეა.

თემის სიმკაცრე მის პოემებში, ისეთი მოცემულობაა, რომელიც აუცილებელია იმისთვის რომ რაღაც აფეთქდეს. თემშიც იყო ნამდვილი აჯანყებები. ნამდვილი გამარჯვებები, ადათის ცვლის ამბები. ნათელა ბალიაურის წიგნში, სწორფერობა ხევსურეთში მოთხოვრილია ქალის ამბავი, რომელმაც ბარე

ნახევარ თემებში შეცვალა წაწლობის ადათი თავისი პირადი მაგალითით, მაგრამ იქ დრამა არა ჩანს. არც ტრაგედია. ტრაგიკული გმირი, უნდა შეცდეს. მისი მართალი შეცდომა მას უნდა ანადგურებდეს. ეგრეთ წერის ძველი წესი. თორემ ის ხევსურები, რომლებიც სამ ქალაქელ მილიციელს კლავენ, რათა თემის ხელშეუხებლობა დაიცვან, საბოლოოდ მშვენივრად აგვარებენ წაწლების დაქორწინების ამბავს მიხეილ ჯავახიშვილის „თეთრ საყელოში“. წიგნს გადევნებული — წესი არს, წესი არ არს — საკმაოდ უძლური შეიქნება.

მაგრამ იქ არ არიან „სხვა“ გმირები. იქ უბრალოდ კულტურული სხვაობაა. უფრო ძნელია იყო თან შინაური და თან „სხვა“.

და რა მოხდა, იმ სიტყვათა და ტყვიათა გაცვლის წამებში, ალუდასა და მუცალს შორის? მთავარი ამ ამბავში სწორედ ეს არის. აქ მუცალშია საქმე, თორემ მისი ძმის ხორასანული ხმალი ალუდამ უდრტყინველად წამოიღო. სიტყვები იყო ჩვეულებრივი და მრისხანე მათ შორის, ტყვიებიც.

ეს არის რომ, ალუდამ დაინახა, რომ მუცალმა ბალახი მოგლიჯა და ჭრილობაზე დაიდო, სიკვდილი არ უნდოდაო, ისევ მგლის ფერი ედოო. მგლის ფერი, სიცოცხლის ფერი? ეს მეომრის ფერია. ალუდას აბჯარი კი გველისფერია. მგლის ფერი და გველის ფერი. სხივი არსაიდან.

იქ რაღაც მოხდა. ეგება ალუდა დიდხანს მიდიოდა ამისკენ. ფიქრობდა ამაზე. მაგრამ მთავარი მაინც ის წამი იყო, რომ მან დაინახა, რომ ამ მგლისფერ კაცს სიკვდილი არ უნდოდა. ეს იყო მამაცი და ვაჟკაცი კაცი. ის რომ საქონელი გაიტაცა, სულაც არ ითვლება საძრახის საქმედ, ითვლება საპასუხო საქმედ, და პასუხზეც დაედევნენ.

მაგრამ მას სიკვდილი არ უნდოდა. ეტყობა როგორღაც ძალიან უბრალოდ და ბუნებრივად, ყოველგვარი მგლობის გარეშე, არ უნდოდა სიკვდილი. საბოლოო ჯამში ხომ ეს სისულელეა, მოკვდე ათიოდე ძროხისთვის. თუ რა თქმა უნდა, შეგიძლია წარმოიდგინო, რომ სული ბევრად დიდია, ვიდრე ეს ძროხები. მგონი ალუდა და მუცალი ამით ჰგავდნენ ერთმანეთს. ორივემ იცოდა რომ სული დიდია. და ალუდას უნდოდა ისე სიკვდილი, როგორც მუცალი მოკვდა?

ასეთი ფასის ბრძოლაში შესულ იარაღიან კაცს არ უნდა სიკვდილი.

ჯერ ჯობნაა და ჯობნას მოსდევს სიკვდილი. მომკვლელი

უყურებს მოკლულს. და ალუდამ დაინახა, მართლა დაინახა, ნამდვილად დაინახა რომ მუცალს არ უნდოდა სიკვდილი და თვითონაც არ უნდოდა ასე სიკვდილი.

ვინ იტყვის? ეგებ ალუდამ საკუთარი თავი დაინახა. თავისი მოჭრილი მარჯვენა. დაინახა ლამაზი და ძლიერი კაცი, რომელსაც აღარფერი შეუძლია და რომელმაც იცის, რომ ასე ცხოვრებას სისულელეა და ასე სიკვდილიც.

თორემ მუცალის ძმას ალუდამ ზურგიდან ესროლა. იქ არაფერი დაუნახავს.

ის წამი მთელ ცხოვრებად იქცა ალუდასთვის. მან ის დაინახა რასაც ფიქრობდა.

ეს რალაცნაირი წამია.

ალუდა ხევსური იყო, მას სწამდა რომ ღმერთი მიიღებს მის შესაწირს მუცალის სახლეზე. ეს რომ არ დაეჭვებინა, მოზგრის თავს არ დააგორებდა და არც ხევისბერს გადაუდგებოდა ამგვარად.

მან რაც იგრძნო, ის ირწმუნა. არ შეეძლო რომ მუცალი იმ ქვეყნიდან მოებრუნებინა. რაც შეეძლო, იმას უკეთებდა, იმ ქვეყნად ეხმარებოდა.

ვაჟაც ასე იყო, რაც ეგრძნო, იმას ეწამა და იმისთვისაც იბრძოდა.

აკა მორჩილაძე
08.04.2010

ალუდა ქეთელაური

(ხევისურების ცხოვრებიდან)

I

მაცნე მოიდა შატილსა:
— ქისტებმა მოგვცეს ზიანი,
დაგვიწიოკეს მწყემსები,
ავნია, ავი-ზნიანნი.
ალუდა ქეთელაური
კაცია დავლათიანი,
საფიხვნოს თავში დაჯდების,
სიტყვა მაულის გზიანი;
ბევრს ქისტს მააჭრა მარჯვენა,—
სცადა ფრანგული ფხიანი.
ცუდას რად უნდა მტერობა,
კარგია მუდამ მტრიანი!
ქისტებს წაუსხამ ცხენები,
ალუდაისიც ფთიანი.
გუმან აქვ, გადაავლიონ
არხოტის თავი მთიანი,
გადაბერტყინონ ნალითა
ქუჩი მთებისა ცვრიანი.
ეს რო ალუდამ გაიგო,
თოფს დაუპირა ტალიო;
აისხა იარაღები,
გააფხავიდის ხმალიო;
გაუშინჯიდის ვადანი,
ხმალს არ მაუტყდეს ტარიო.
ცისკრის ხანია, მტერს მისდევს
კლდის შავარდენი ჩქარიო.